

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute

რა ზეგავლენას მოახდენს COVID-19 სურსათის მიწოდების ჭაჭვზე საქართველოში?

ავტორები: ფატი მამარდაშვილი, სალომე გელაშვილი, ია კაცია, სალომე დეისაძე



არსებული ვითარების შეფასება

COVID-19-ის პანდემიის ფონზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სასურსათო მალაზიების ცარიელი თაროების სურათები გამოჩნდა. ჯერჯერობით, აღნიშნული ფაქტები საკვები პროდუქტების რეალური დეფიციტით არ არის განპირობებული და ისინი პანიკაში ჩაგარდნილი მომხმარებლების ქცევას ასახავს, რომლებმაც სურსათის დიდი რაოდენობით მომარაგება დაიწყეს.

პანდემიის გამო ადრეული პერიოდის გამოცემები (მაგ., [IFPRI, 10 მარტი, 2020 წ.](#)) გლობალური სასურსათო უსაფრთხოების კუთხით გარდაუვალ საფრთხეებს არ ვარაუდობდნენ, თუმცა უახლეს სტატიებში (მაგ., [IFPRI, 20 მარტი, 2020 წ.](#); [FAO, 26 მარტი, 2020 წ.](#); [FAO, The Guardian](#)) COVID-19-ის შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად ყურადღება გამახვილდა პოლიტიკის დონეზე სათანადო რეაგირებების საჭიროებაზე, ადგილობრივ და გლობალურ სასურსათო სისტემებსა და სასურსათო უსაფრთხოებაზე. მსოფლიო მასშტაბით სურსათით ვაჭრობაში შესაძლო შეფერხებების საფრთხე სულ უფრო მეტად აქტუალური ხდება ([IFPRI, 27 მარტი, 2020 წ.](#)), რადგან [მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ \(WTO\)](#) უკვე დაარეგისტრირა რამდენიმე ქვეყნის (მაგ., ყაზახეთი და ტაილანდი) შეტყობინება სურსათით ვაჭრობის შეზღუდვების შესახებ.

რადგან პანდემია ჯერ კიდევ გავრცელების ფაზაშია, რთულია, ვინაიანაწარმეტყველოთ, როგორი იქნება მისი შესაძლო ზემოქმედება სასურსათო სისტემებზე. მიუხედავად ამისა, წინა კრიზისების გამოცდილებაზე დაყრდნობით და კორონავირუსის უპრეცედენტო გეოგრაფიული გავრცელებისა და მასშტაბის გათვალისწინებით, ბევრი ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, საკუთარი მოსახლეობის სურსათის სტაბილური მიწოდების უზრუნველსაყოფად პროფილაქტიკურ ზომებს მიმართავს.

COVID-19-ის საპრევენციო ზომების მისაღებად, საქართველოში, 28 იანვარს, [უნეცებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო](#) შეიქმნა. საბჭოს ფარგლებში, სასურსათო მარაგების მართვაზე, ლოჯისტიკასა და ტრანსპორტირებაზე ზედამხედველობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს [დაეკისრა](#). მარტში საქართველოს მთავრობამ ამავე სამინისტროს ბიუჯეტიდან 10 მლნ. ლარის გამოყოფის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება, რაც მიზნად ბიზნესის სუბსიდირებას და 9 საკვებ პროდუქტზე ფასების შენარჩუნებას ისახავს. ეს პროდუქტებია: ბრინჯი, მაკარონი, წიწიბურა, მცენარეული ზეთი, შაქარი, ხორბალი, ხორბლის ფქვილი, რძის ფხვნილი და ლობიო ([საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2020 წ.](#)).

პროგრამა 15 მარტიდან 15 მაისამდე განხორციელდება და იმპორტიორთა დამატებითი ხარჯების სუბსიდირებას მოახდენს, რაც სავალუტო კურსის რყევებითაა განპირობებული. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის განცხადების თანახმად, კორონავირუსის პანდემიის გამო, დამატებით 16 მლნ. ლარი შაქრის (5,000 ტ.), მცენარეული ზეთისა (1,500 ათასი ლ.) და მაკარონის (500 ტ.) მარაგების შესაქმნელად დაიხარჯება.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო საკვები პროდუქტების წმინდა იმპორტიორია, შესაძლებელია, არსებობდეს დამატებითი ნაბიჯების გადადგმის საჭიროება ქვეყნის მოსახლეობის უვნებელი, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი საკვებით უზრუნველსაყოფად. იმისათვის, რომ უკეთ გაგვეგო ქართულ სასურსათო ბაზრებზე მოსალოდნელი ტენდენციები და პროცესები, სურსათის ძირითადი კატეგორიები და მათი ბაზრები გავანალიზებთ.

ხორბლის ბაზარი

საქართველოს ხორბლის ბაზარი იმპორტზე ძალიანაა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ ხორბლით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ბოლო წლებში მზარდია, 2018 წელს იგი მხოლოდ 15%-ს შეადგენდა (საქსტატი, 2020 წ.). ამასთან, საქართველოს ხორბლის იმპორტი მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება. 2019 წელს, მთლიანი იმპორტირებული ხორბლიდან და მესლინიდან 88% რუსეთიდან, 10% ყაზახეთიდან, ხოლო

დანარჩენი შეერთებული შტატებიდან და ირანიდან იქნა შემოტანილი. პირველ ცხრილში საქართველოს ხორბლის ბაზრის ამსახველი ძირითადი სტატისტიკური მონაცემებია წარმოდგენილი.

ცხრილი 1. ხორბლის ბაზარი

პროდუქტი	თვითურუნვე ლყოფის კოეფიციენტი, % (2018 წ.)	საშუალო წლიური მოხმარება 1 ადამიანზე (კგ), 2018	იმპორტი (ტ.), 2019	ექსპორტი (ტ.), 2019 წ.	იმპორტის ბაზრები, 2019 წ.	საექსპორტო ბაზრები, 2019 წ.	იმპორტის ბაზრის დივერსიფიკაციის ხარისხი, 2019 წ.	საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაციის ხარისხი, 2019 წ.
ხორბალი	15%	130	477,301	715	რუსეთი, ყაზახეთი, აშშ	სომხეთი, აზერბაიჯანი	მაღალი კონცენტრაცია (HHI – 7914)	მაღალი კონცენტრაცია (HHI – 9055)

წყარო: Trademap, 2020, საქსტატი 2020 წ.

შენიშვნა: HHI – ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი საბაზრო კონცენტრაციის საყოველთაოდ მიღებული საზომია.

2019 წელს, პირველად ბოლო ათი წლის განმავლობაში, საქართველომ ხორბლის იმპორტი შეერთებული შტატებიდან განახორციელა. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-დან იმპორტის წილი შედარებით მცირეა, ის კვლავაც სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოს ხორბლის იმპორტის ბაზრის დივერსიფიკაციის გზაზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

ჯერჯერობით, მარცვლეულის გლობალური ბაზრების პროგნოზები ოპტიმისტურია; 2020 წელს, [ხორბლის რეკორდულთან მიახლოებული](#) წარმოებაა მოსალოდნელი. [გაეროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის ორგანიზაციის \(FAO\)](#) ფასების ინდექსი თებერვალში წინა თვესთან შედარებით 0.9%-ით შემცირდა. ხორბლის დაბალი ფასი ბოლო წლებში კარგი მოსავლითა და გაზრდილი მიწოდებით იყო განპირობებული. ბოლოდროინდელი ფასის შემცირება კი პანდემიით გამოწვეული მოთხოვნის შემცირებასთანაც არის დაკავშირებული.

რადგან საქართველოში ხორბლის იმპორტის ყველაზე დიდი წილი რუსეთიდან ხორციელდება, ადგილობრივი ხორბლის ფასებს დიდწილად რუსეთში არსებული ხორბლის ფასი განსაზღვრავს. ამრიგად, მხედველობაში უნდა მივიღოთ რუსეთის ხორბლის მოსავალი, ისევე, როგორც მისი სავაჭრო ზომები და რეგულაციები. ამინდის ხელსაყრელი პირობების გათვალისწინებით, 2020 წელს, რუსეთი [მარცვლეულის კარგი მოსავლის](#) მოლოდინშია და მოსავლისა და მარცვლეულის ექსპორტის მოცულობის გაზრდას ვარაუდობს. [USDA](#)-ის პროგნოზის თანახმად, 2019-2020 წლებში, რუსეთში 73,5 მილიონი ტონა ხორბლის წარმოება მოხდება, რაც წინა წელთან შედარებით გაზრდილი მაჩვენებელია (71.6 მილიონი ტონა). თუმცა ამავე პუბლიკაციაში მომდევნო წლებში რუსეთის ხორბლის ექსპორტის მცირე წლიურ შემცირებას ვარაუდობენ.

მიუხედავად პროგნოზებისა, COVID-19-ის შემდგომი გავრცელება ხორბლის ბაზრებზე შესაძლო შეფერხებებისა და დეფიციტის საფრთხეებს ქმნის. მაგალითისთვის, კორონავირუსის პანდემიის დროს [მარცვლეულის მარაგების შესანარჩუნებლად რუსეთის მთავრობამ უკვე წამოაყენა წინადადება მიმდინარე სეზონზე მარცვლეულის ექსპორტის შეზღუდვის შესახებ](#). ეს, რასაკვირველია, ქმნის საფრთხეებს, რომ აღნიშნული შეზღუდვა შეიძლება მომდევნო სეზონებზეც გავრცელდეს. როგორც უახლესი გამოცდილება გვიჩვენებს, ექსპორტის ამგვარ შეზღუდვებს, როგორც წესი, სხვა ქვეყნების მიერ მარცვლეულის ფასის კიდევ უფრო გაზრდა მოსდევს. ამ მხრივ, დამატებით საყურადღებოა [ექსპორტის აკრძალვა ყაზახეთის მიერ, რომელიც უკვე გამოცხადდა](#).

ხორბლის კარგი მოსავლის შემთხვევაშიც კი, ექსპორტის შესაძლო შეზღუდვების პირობებში, საქართველოს მთავრობის ბოლოდროინდელი პოლიტიკა შეინარჩუნოს ხორბლის ფასები, სავარაუდოდ, მხოლოდ დროებით დაიცავს ქართველ მომხმარებლებს ხორბლის ფასების შემდგომი ზრდისგან.

შაქრის ბაზარი

საქართველოში შაქარი ძალიან მცირე რაოდენობით იწარმოება და ქვეყანაში მოხმარებული შაქრის უდიდესი წილი იმპორტირებულია. 2019 წელს, საქართველოში დაახლოებით 128 ათასი ტონა ლერწმის ან ქარხლის შაქრის იმპორტი განხორციელდა. საერთო რაოდენობიდან 40 ათასი ტონა პოლონეთიდან (32%), 20 ათასი ტონა აზერბაიჯანიდან (16%), 19 ათასი ტონა (15%) კი რუსეთიდან არის შემოტანილი. შაქრის საიმპორტო ბაზრები კონცენტრაციის საშუალო ხარისხით ხასიათდება (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2. შაქრის ბაზარი

პროდუქტი	თვითურუნვე ლყოფის კოეფიციენტი, % (2018 წ.)	საშუალო წლიური მოხმარება 1 ადამიანზე (კგ.), 2017 წ.	იმპორტი (ტ.), 2019 წ.	ექსპორტი (ტ.), 2019 წ.	საიმპორტო ბაზრები, 2019 წ.	საექსპორტო ბაზრები, 2019 წ.	საიმპორტო ბაზრის დივერსიფიკაციის ხარისხი, 2019 წ.	საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაციის ხარისხი, 2019 წ.
შაქარი	არ არის ხელმისაწვდომი	38.72 ¹	128,617	715	პოლონეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი	აზერბაიჯანი, ჩინეთი	საშუალოდ კონცენტრირებული (HHI – 1794)	საშუალოდ კონცენტრირებული (HHI – 9168)

წყარო: Trademap, 2020 წ.

შენიშვნა: HHI – ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი საბაზრო კონცენტრაციის საყოველთაოდ მიღებული საზომი.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის თანახმად, შაქრის ფასების ინდექსი 2020 წლის თებერვალში წინა თვესთან შედარებით 4.5%-ით გაიზარდა. შედეგად, ინდექსმა 2017 წლის მაისის შემდეგ ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია. შაქრის ფასის ზრდა ინდოეთში წარმოების შემცირებასთან არის დაკავშირებული, რომელიც მსოფლიოში შაქრის სიდიდით მეორე მწარმოებელია. ამასთან, ამინდის გაუარესების გამო ფასები კიდევ უფრო გაიზარდა ტაილანდში.

რადგან საქართველოს მთავრობის ბოლოდროინდელი პოლიტიკა ფასების შენარჩუნების შესახებ შაქარს ეხება, ის დროებით დაიცავს ქართველ მომხმარებლებს შაქრის ფასების შემდგომი ზრდისგან, განსაკუთრებით კი, ეროვნული ვალუტის გაუფასურებასთან დაკავშირებული ფასების მატებისგან.

რძისა და რძის პროდუქტების ბაზარი

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო რძისა და რძის პროდუქტების წმინდა იმპორტიორია, რძის იმპორტის ბაზრები დივერსიფიცირებულია, რაც ამ მხრივ შედარებით დაბალი რისკების არსებობაზე მიგვანიშნებს. საქართველოსთვის რძის პროდუქტების იმპორტის მთავარი პარტნიორი ქვეყნებია უკრაინა, საფრანგეთი და რუსეთი. უკრაინა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პარტნიორია რძის ფხვნილის იმპორტის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი იმპორტი დივერსიფიცირებულია, რძის ფხვნილის იმპორტი მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა და სახეზეა ძლიერი დამოკიდებულება უკრაინულ ბაზარზე (იხ. ცხრილი 3).

¹ საშუალო წლიური მოხმარება 1 ადამიანზე, 2017 წ., (FAO)

ცხრილი 3. რძის და რძის პროდუქტების ბაზარი

პროდუქტი	თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, % (2018 წ.)	საშუალო წლიური მოხმარება 1 ადამიანზე (კგ.), 2018 წ.	იმპორტი (ტ.), 2019 წ.	ექსპორტი (ტ.), 2019 წ.	საიმპორტო ბაზრები, 2019 წ.	საექსპორტო ბაზრები 2019 წ.	საიმპორტო ბაზრის დივერსიფიკაციის ხარისხი, 2019 წ.	საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაციის ხარისხი, 2019 წ.
რძე და რძის პროდუქტები (ჯამი)	81%	178	34,662	1,143	უკრაინა, საფრანგეთი, რუსეთი	სომხეთი, აზერბაიჯანი, აშშ	დივერსიფიკირებული (HHI – 1211)	მაღალი კონცენტრაცია (HHI – 4498)
რძის ფხვნილი	არ არის ხელმისაწვდომი	არ არის ხელმისაწვდომი	7,533	0	უკრაინა, ირანი, თურქეთი	არ არის ხელმისაწვდომი	მაღალი კონცენტრაცია (HHI – 2743)	არ არის ხელმისაწვდომი

წყარო: Trademap, საქსტატი, 2020 წ.

შენიშვნა: HHI – ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი საბაზრო კონცენტრაციის საყოველთაოდ მიღებული საზომია.

რძის ფხვნილი მიეკუთვნება იმ პროდუქტების ჩამონათვალს, რომლებზეც ფასების შენარჩუნების ახალი სახელმწიფო პოლიტიკა ვრცელდება. იმის გათვალისწინებით, რომ რძის შიდა წარმოება სეზონურია და რძის უმეტესობას არაკომერციული შინამეურნეობები აწარმოებენ, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ნედლი რძის სტაბილურ მიწოდებას, რძის ნაწარმის მწარმოებელი კომპანიები დიდწილად რძის ფხვნილის იმპორტზე არიან დამოკიდებული. ვალუტის გაუფასურების გამო რძის ფხვნილის იმპორტი ძვირდება, ხოლო სახელმწიფო პოლიტიკა მიზნად ისახავს ფასის ზრდის ეფექტის შემცირებას. ამავდროულად, რადგან რძის ადგილობრივი წარმოება აპრილი-მაისიდან იწყებს ზრდას, რძის ფხვნილის იმპორტზე მოთხოვნა სავარაუდოდ მომდევნო თვეებში შემცირდება.

რძის ფხვნილის შემთხვევაში ორი ურთიერთსაპირისპირო ძალა იმოქმედებს: ლარის გაუფასურებით გამოწვეული იმპორტის ფასების ზრდა და რძის ფხვნილზე მოთხოვნის შემცირება. საბოლოო ზეგავლენა დამოკიდებულია თითოეული ეფექტით გამოწვეული ცვლილების სიდიდეზე. თუ ნედლი რძის შიდა წარმოება საკმარისად მაღალი იქნება, სავარაუდოდ, რძის პროდუქტებზე ფასები არ გაიზრდება.

ხორცის ბაზარი

რძისა და რძის ბაზრისგან განსხვავებით, ხორცის ბაზარი შედარებით დაბალი თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტითა (52%) და იმპორტზე მაღალი დამოკიდებულებით ხასიათდება. საქართველოს ხორცის იმპორტის კუთხით მთავარი პარტნიორი ქვეყნებია ბრაზილია, უკრაინა და თურქეთი. გაყინული ხორცის იმპორტით ბრაზილია ლიდერობს, ახალი ხორციით ვაჭრობის ბაზარზე კი – უკრაინა და თურქეთი (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4. ხორცის ბაზარი

პროდუქტი	თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, % (2018 წ.)	საშუალო წლიური მოხმარება 1 ადამიანზე (კგ.), 2018 წ.	იმპორტი (ტ.), 2019 წ.	ექსპორტი (ტ.), 2019 წ.	საიმპორტო ბაზრები, 2019 წ.	საექსპორტო ბაზრები, 2019 წ.	საიმპორტო ბაზრის დივერსიფიკაციის ხარისხი, 2019 წ.	საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაციის ხარისხი, 2019 წ.
ხორცი	52%	37	83,525	10,049	ბრაზილია, უკრაინა, თურქეთი	ირანი, სომხეთი, აზერბაიჯანი	საშუალოდ კონცენტრირებული (HHI – 1826)	საშუალოდ კონცენტრირებული (HHI – 2715)

წყარო: Trademap, საქსტატი, 2020 წ.

შენიშვნა: HHI – ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი საბაზრო კონცენტრაციის საყოველთაოდ მიღებული საზომია.

ეკონომიკური საქმიანობის შენელებისა და შემოსავლების თანმდევი შემცირების შედეგად მომდევნო თვეებში ხორცზე მოთხოვნა, სავარაუდოდ, დაიკლებს. ხორცი არ შედის იმ პროდუქტების სიაში, რომლებზეც სახელმწიფოს ფასის შენარჩუნების პოლიტიკა ვრცელდება, შესაბამისად, მოსალოდნელია აღნიშნული პროდუქტის საიმპორტო ფასის ზრდა, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა, ხორცპროდუქტების ადგილობრივი მწარმოებლების წახალისება და მათი მხრიდან წარმოების ზრდა გამოიწვიოს, რაც მიწოდების საერთო ზრდას განაპირობებს. ახალი ფასის განსაზღვრა მიწოდებისა და მოთხოვნის ცვლილებების მასშტაბებზე დამოკიდებული. თუ ცვლილება მიწოდების შემთხვევაში უფრო მცირე იქნება, ვიდრე მოთხოვნის შემთხვევაში, მაშინ, სავარაუდოდ, შემცირდება როგორც ფასი, ისე რაოდენობა. თუ ცვლილება მიწოდების შემთხვევაში უფრო მაღალი იქნება, ვიდრე მოთხოვნის, მაშინ გაიზრდება ახალი წონასწორული რაოდენობა, მაგრამ ახალი ფასი, როგორც წინა შემთხვევაში, შემცირდება. ასე რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, მოსალოდნელია ხორცის ფასების შემცირება. ცოცხალი საქონლის ექსპორტის შემზღუდავი ახალი რეგულაციები ასევე ხელს შეუწყობს ხორცის მიწოდების ზრდას და კიდევ უფრო შეამცირებს ხორცის ფასებს.

ხილისა და ბოსტნეულის ბაზრები

საქართველო ხილის წმინდა იმპორტიორია და ქვეყნის იმპორტის მთავარი პარტნიორები თურქეთი (44%), ეკვადორი (28%) და აზერბაიჯანია (7%) (იხ. ცხრილი 5). საქართველო არა მხოლოდ დიდი რაოდენობით ხილის იმპორტს ახორციელებს, არამედ ქვეყანა მნიშვნელოვანი რაოდენობის ხილის ექსპორტსაც ახდენს. უფრო კონკრეტულად, საქართველოს ციტრუსის, ვაშლის და ატმისა და ვაშლატამას შემთხვევაში ექსპორტი იმპორტს აჭარბებს. 2019 წლის მდგომარეობით, ქართული ხილის მთავარი იმპორტიორი ქვეყნები რუსეთი (48%), სომხეთი (25%) და უკრაინა (9%) იყვნენ. იმპორტისა და ექსპორტის ბაზრები არ არის დივერსიფიცირებული და სახეზეა კონცენტრაციის მაღალი ხარისხი.

ცხრილი 5. ხილის ბაზარი

პროდუქტი	თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, % (2018 წ.)	საშუალო წლიური მოხმარება 1 ადამიანზე (კგ.), 2018 წ.	იმპორტი (ტ.), 2019 წ.	ექსპორტი (ტ.), 2019 წ.	საიმპორტო ბაზრები, 2019 წ.	საექსპორტო ბაზრები, 2019 წ.	საიმპორტო ბაზრის დივერსიფიკაციის ხარისხი, 2019 წ.	საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაციის ხარისხი, 2019 წ.
ხილი	არ არის ხელმისაწვდომი	არ არის ხელმისაწვდომი	94,707	84,895	თურქეთი, ეკვადორი, აზერბაიჯანი	რუსეთი, სომხეთი, უკრაინა	მაღალი კონცენტრაცია (HHI – 2824)	მაღალი კონცენტრაცია (HHI – 3988)

წყარო: UNComtrade, საქსტატი, 2020 წ.

შენიშვნა: HHI – ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი საბაზრო კონცენტრაციის საყოველთაოდ მიღებული საზომია.

ხილი არ არის იმ ძირითადი საკვები პროდუქტების ჩამონათვალში, რომლებზეც საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ფასების შენარჩუნების პოლიტიკა ვრცელდება, რამაც შესაძლოა იმპორტის ფასების ზრდა გამოიწვიოს. ამასთან, ხილის ფასები ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მუდმივად იზრდებოდა; 2020 წლის თებერვალში, ამ კატეგორიაში ფასების წლიურმა ზრდამ 25.1% შეადგინა (საქსტატი, 2020 წ.). თუ ბაზარზე სეზონური ხილი არ გამოჩნდა, რაც მიწოდებას გაზრდის, ლარის გაუფასურების გათვალისწინებით ხილზე ფასების შემდგომი ზრდა არის მოსალოდნელი, რაც შეეხება ბოსტნეულს, საქართველოში ბოსტნეულის ბაზარი დაბალი თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი (59%) და იმპორტზე მაღალი დამოკიდებულებით ხასიათდება (იხ. ცხრილი 6). 2019 წლის მდგომარეობით, საქართველოში მთავარი იმპორტიორები თურქეთი (60%), აზერბაიჯანი (10%) და ირანი (10%) იყვნენ. ხილის მსგავსად, ბოსტნეულის ფასები მზარდი ტენდენციით ხასიათდება. 2020 წლის თებერვალში, ამ კატეგორიაში ფასების წლიურმა ზრდამ 11,1% შეადგინა (საქსტატი, 2020 წ.).

ცხრილი 6. ბოსტნეულის ბაზარი

პროდუქტი	თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, % (2018 წ.)	საშუალო წლიური მოხმარება 1 ადამიანზე (კგ.), 2018 წ.	იმპორტი (ტ), 2019 წ.	ექსპორტი (ტ.), 2019 წ.	საიმპორტო ბაზრები, 2019 წ.	საექსპორტო ბაზრები, 2019 წ.	საიმპორტო ბაზრის დივერსიფიკაცია (ციის ხარისხი, 2019 წ.)	საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაცია (ციის ხარისხი, 2019 წ.)
ბოსტნეული	59%	56	96,714	15,028	თურქეთი, აზერბაიჯანი, ირანი	რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი	მაღალი კონცენტრაცია (HHI – 3843)	მაღალი კონცენტრაცია (HHI – 2654)

წყარო: UNComtrade, საქსტატი, 2020 წ.

შენიშვნა: HHI – ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი საბაზრო კონცენტრაციის საყოველთაოდ მიღებული საზომია.

ბოსტნეულის კატეგორიიდან, საქართველოს მთავრობა ლობიოს ფასის სუბსიდირებას მოახდენს და მასზე ფასს შეინარჩუნებს, რათა მომხმარებლებისთვის ეკონომიკური რეცესიის დროს შედარებით იაფი პროდუქტი იყოს ხელმისაწვდომი ([საქართველოს საკანონმდებლო მაცნე](#), 2020 წ.). ბოსტნეულის უმეტესობა გაზაფხულზე ითესება. მალე დაიწყება ახალი კარტოფილის სეზონიც; საქართველოში აღნიშნული პროდუქტის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი კი მაღალია (102%).

მთლიანობაში, საქართველო დიდწილად არის დამოკიდებული ხილისა და ბოსტნეულის იმპორტზე. ქვეყნის მთავარი პარტნიორი კი ამ მხრივ თურქეთია, სადაც [სურსათის ფასების ძლიერი მატება](#) აღინიშნება, განსაკუთრებით ხილსა და ბოსტნეულზე. იმის გათვალისწინებით, რომ პანდემიის გამო, რუსეთმა ჩინეთიდან ხილისა და ბოსტნეულის იმპორტი თურქეთიდან იმპორტირებული პროდუქტებით ჩაანაცვლა, თურქეთის იმპორტზე მოთხოვნა გაიზარდა. შესაბამისად, მოსალოდნელია აღნიშნული საქონლის იმპორტზე ფასების ზრდა. რთულია ხილისა და ბოსტნეულის ფასების პროგნოზირება, რადგან ძირითადი პროდუქტების სეზონი მომდევნო თვეებში იწყება და შიდა წარმოება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საბაზრო ფასების განსაზღვრაში.

მცენარეული ზეთის ბაზარი

სხვა საკვები პროდუქტების მსგავსად, მცენარეული ზეთის ბაზრები ძლიერ არის დამოკიდებული იმპორტზე და იგი მაღალი კონცენტრაციის ხარისხით ხასიათდება. 2019 წლის მდგომარეობით, აღნიშნული პროდუქტის იმპორტის თვალსაზრისით საქართველოს ძირითადი პარტნიორები რუსეთი (81%), აზერბაიჯანი (6%) და უკრაინა (5%) იყვნენ (იხ. ცხრილი 7).

ცხრილი 7. მცენარეული ზეთის ბაზარი

პროდუქტი	თვითურუნველყოფის კოეფიციენტი, % (2018 წ.)	საშუალო წლიური მოხმარება 1 ადამიანზე (კგ.), 2018 წ.	იმპორტი (ტ.), 2019 წ.	ექსპორტი (ტ.), 2019 წ.	საიმპორტო ბაზრები 2019 წ.	საექსპორტო ბაზრები 2019 წ.	საიმპორტო ბაზრის დივერსიფიკაციის ხარისხი, 2019 წ.	საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაციის ხარისხი, 2019 წ.
მცენარეული ზეთები	არ არის ხელმისაწვდომი	არ არის ხელმისაწვდომი	50,104	250	რუსეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა	აზერბაიჯანი, საფრანგეთი, სომხეთი	მაღალი კონცენტრაცია (HHI – 6664)	მაღალი კონცენტრაცია (HHI – 2524)

წყარო: UNComtrade, საქსტატი, 2020 წ.

შენიშვნა: HHI – ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი საბაზრო კონცენტრაციის საყოველთაოდ მიღებული საზომია.

მცენარეული ზეთების კატეგორიაში, მზესუმზირის ზეთი მთლიანი იმპორტის 90%-ს შეადგენს (UNComtrade, 2020 წ.). 2019 წლის მდგომარეობით, ძირითადი იმპორტიორების საბაზრო წილი შემდგენაირად ნაწილდებოდა: რუსეთი (90%), უკრაინა (5%) და აზერბაიჯანი (5%). მზესუმზირის ზეთი მთავრობის ფასების შენარჩუნების დადგენილებას ექვემდებარება, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ პროდუქტზე ფასის ზედა ზღვარს მთავრობა შეინარჩუნებს და მის სუბსიდირებას მოახდენს. ასევე, მარაგების შესაქმნელად საქართველოს მთავრობა 1,500,000 ლიტრ მზესუმზირის ზეთს შეიძენს. არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომლებმაც მომდევნო თვეებში შესაძლოა გავლენა მოახდინოს მზესუმზირის ზეთის ფასის ფორმირებაზე. 2020 წლის იანვარში, რუსეთის მცენარეული ზეთის კავშირმა მზესუმზირის მარცვლების ექსპორტის შეზღუდვა მოითხოვა, რაც ეროვნული ვალუტის გაუფასურებით გამოწვეულ ადგილობრივი ფასების ზრდით იყო განპირობებული. აღნიშნულმა ნაბიჯმა, შესაძლოა, რუსეთში მზესუმზირის ზეთის შიდა წარმოების ზრდა გამოიწვიოს. უფრო მეტიც, უკრაინამ, რომელიც საქართველოს საიმპორტო პარტნიორია, 2020 წლის იანვარ-თებერვალში მზესუმზირის ზეთის წარმოება 15.7%-ით გაზარდა. აღსანიშნავია, რომ 2020 თებერვალში მცენარეული ზეთის საერთაშორისო ფასები იანვართან შედარებით 10.3%-ით შემცირდა (FAOSTAT, 2020 წ.). ცვლილების მთავარი მიზეზი პალმის ზეთზე ფასის შემცირებაა, რაც მაღალიაში მოსალოდნელზე ჭარბი წარმოებით, ინდოეთის იმპორტის მოთხოვნის დროებითი ვარდნითა და პანდემიის გამო გლობალური მოთხოვნის მოსალოდნელი შემცირებით არის გამოწვეული. მზესუმზირის ზეთის ფასებზე საბოლოო ზეგავლენა ლარის გაუფასურების მასშტაბზე იქნება დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული ფასის შენარჩუნების პოლიტიკის შედეგად, მოხმარებლები მზესუმზირის ზეთის შეძენას უფრო იაფად შეძლებენ.

დასკვნა

სასურსათო კატეგორიების უმეტესობის შემთხვევაში, საქართველო დიდწილად იმპორტზეა დამოკიდებული. სტრატეგიული მნიშვნელობის სურსათის საიმპორტო ბაზრების უმეტესი ნაწილი საკმაოდ კონცენტრირებულია, რაც ზრდის თანმხლებ რისკებს, განსაკუთრებით COVID-19-ის პანდემიის პირობებში. საქართველო გლობალური სასურსათო ჯაჭვების ნაწილია და, შესაბამისად, პანდემიის დროს, იმ გამოწვევებს გაიზიარებს (არსებულსა და მოსალოდნელს), რომელთა წინაშეც სასურსათო სისტემები დგანან მსოფლიო მასშტაბით. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ექსპერტი სურსათის გლობალური ხელმისაწვდომობის შემცირებას არ ვარაუდობს, საყურადღებოა სასურსათო ღირებულების ჯაჭვებში პოტენციური სისტემური პრობლემები, რამაც შესაძლოა სურსათის დეფიციტი, სურსათზე ფასების ზრდა და მსოფლიოში სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების გაუარესება გამოიწვიოს. გლობალური სასურსათო სისტემების მოთხოვნისა და მიწოდების მიმართულებით უნდა მოხდეს ქვემოთ ჩამოთვლილი შესაძლო ცვლილებების გათვალისწინება:

- **მოთხოვნის მხარე.** რადგანაც ბევრი საკვები პროდუქტი შემოსავლების მიმართ არაელასტიკურია, სურსათის მოთხოვნაზე ეკონომიკური რეცესია, როგორც წესი, შედარებით ნაკლებ ზეგავლენას

ახდენს. მიუხედავად ამისა, სამუშაო ადგილების დაკარგვით გამოწვეული შემოსავლის კლებამ ღარიბ ქვეყნებში, შესაძლოა, სურსათის მოხმარების შემცირება გამოიწვიოს, რადგან სურსათზე მოთხოვნა აღნიშნულ ქვეყნებში, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, უფრო ელასტიკურია. გარდა ამისა, თუ კრიზისის დროს დიდი საფასო შოკები დაფიქსირდება, ეს, სავარაუდოდ, გამოიწვევს ცვლილებებს სამომხმარებლო კალათებში და, შესაბამისად, აისახება საკვებ რაციონზე. მომხმარებლებმა შესაძლოა შეზღუდონ კვებითი მრავალფეროვნება რაციონიდან ისეთი საკვები პროდუქტების ამოღებით, როგორცაა ხორცი ან რძის ნაწარმი და უფრო მეტი მარცვლეული მოიხმარონ (არამალფუჭებადი).

საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოში სასურსათო მოთხოვნის დიდი ნაწილი რესტორნებისა და სასტუმროებიდან მომდინარეობდა, რომლებიც ამჟამად დახურულია. შესაბამისად, საკვებზე მოთხოვნა სტუმართმასპინძლობის (Horeca) სექტორის ხარჯზე შემცირდება.

• მიწოდების მხარე. სასურსათო ღირებულების ჯაჭვებში სურსათის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ლოგისტიკური პრობლემები, ყველაზე რთულ ასპექტს წარმოადგენს. ამ მხრივ, განსაკუთრებული სირთულეები ახალდაკრეფილი/გაუყინავი საკვები პროდუქტების ტრანსპორტირებას უკავშირდება.

შესაძლოა, დღის წესრიგში მუშახელის ხელმისაწვდომობის საკითხი დადგეს, როგორც პირველად სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში (მაგ., თუ საერთაშორისო შრომითი მიგრაციის აკრძალვა ძალაში დარჩება, ეს, სავარაუდოდ, გამოიწვევს სეზონური მუშახელის ნაკლებობას ბოსტნეულისა და ხილის მეურნეობებში), ისე სურსათის გადამამუშავებელ წარმოებაში (რაც ბევრ ქვეყანაში დადგენილ საერთო საკარანტინე რეჟიმთან იქნება დაკავშირებული).

ზოგიერთი ქვეყნის მიერ დაწესებული საექსპორტო შეზღუდვები საერთაშორისო ბაზრებზე დეფიციტს იწვევს, რაც სურსათის ფასების ზრდას განაპირობებს. სურსათზე გაზრდილი ფასების პირობებში, ბევრი მთავრობა, როგორც წესი, საკუთარი მომხმარებლების დაცვის გადანაცვლებას იღებს, ასევე, საექსპორტო შეზღუდვების დაწესების გზით, რაც სურსათის მსოფლიო ფასებს კიდევ უფრო დიდი წნეხის ქვეშ აყენებს. სწორედ ამგვარი პოლიტიკით იყო განპირობებული 2007-2008 წწ-ის სურსათის ფასების პიკური პერიოდი.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობა უკვე დგამს გონივრულ ნაბიჯებს სასურსათო სისტემების პოტენციურ გამოწვევებთან გასამკლავებლად, სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების სახელმწიფო პროგრამისა და მარაგების გაზრდის მეშვეობით. ამასთან, საჭიროა შემდგომი ნაბიჯების გადადგმა საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ზოგიერთი რეკომენდაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის ზოგად განვითარებას უკავშირდება, შესაბამისად, ამ მიმართულებით რჩევები იგივეა, რაც პანდემიამდე იყო. თუმცა არსებულ ვითარებაში აღნიშნული რეკომენდაციები კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს:

- იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების დაახლოებით ნახევარი დაუმუშავებელია, მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე კონკრეტული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოყვანას; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს როგორც ქვეყნის შეფარდებით უპირატესობებს, ისე საბაზისო საკვებ პროდუქტებში თვითუზრუნველყოფის მინიმალურ მაჩვენებლებს.
- მთავრობამ უნდა გააუმჯობესოს სოფლის მეურნეობის სფეროში მიმდინარე პროგრამები (მაგ., "საქართველოში წარმოება") იმპორტის ჩანაცვლების პოტენციალის მქონე პროდუქტებისთვის პრიორიტეტის მინიჭებით გზით;
- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს იმპორტი და ექსპორტი სურსათის მთავარ კატეგორიებში გარკვეულწილად დივერსიფიცირებულია, რეკომენდირებულია შემდგომი ინტენსიური დივერსიფიკაცია, განსაკუთრებით იმ სასურსათო პროდუქტების მიმართულებით, რომელთაც დიდი ადგილი უჭირავთ სამომხმარებლო კალათაში.
- საჭიროა პროცესში ჩართული მხარეების ერთობლივი ძალისხმევა, რომ უზრუნველყოფილი იყოს მთავრობის მიერ დადგენილ სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნება. ღირებულების ჯაჭვში

ჩართულმა ყველა მხარემ, მათ შორის მომხმარებლებმაც, ამ პროცესში საკუთარი წვლილი უნდა შეიტანონ.

ამჟამად, სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების სახელმწიფო პროგრამა მხოლოდ ზოგიერთ იმპორტირებულ საკვებ პროდუქტზე ვრცელდება. სხვა იმპორტირებულ სურსათზე (მაგ. ხილი და ბოსტნეული), ასევე, ქვეყნის შიგნით არსებულ სასურსათო ღირებულების ჯაჭვებში, შესაძლოა ფასების ზრდა დაფიქსირდეს, როგორც სანარმოო დანახარჯების ზრდის, ისე სურსათის ტრანსპორტირების მიმართულებით არსებული შეფერხებების გამო. რადგანაც საქართველოში ღირებულებათა ჯაჭვის ზოგიერთ წარმომადგენლებს შორის კავშირები ისედაც სუსტი იყო, არსებულმა მდგომარეობამ შესაძლოა კიდევ უფრო გაართულოს აღნიშნული საკითხი და სურსათის დროებითი დეფიციტი გამოიწვიოს. პოტენციური პრობლემების გათვალისწინებით მოკლევადიან პერიოდში მიზანშეწონილია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- ფერმერული მეურნეობების აგროსამეწარმეო საშუალებებზე განეული ხარჯების დროებითი სუბსიდირება.
- ღირებულების ჯაჭვის კავშირების გაძლიერება ლოგისტიკურ ინფრასტრუქტურაში ინვესტირების (მაგ., სურსათის დროებითი შემგროვებელი ცენტრების შექმნა), სურსათის უწყვეტი მიწოდებისა და სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი დისტრიბუციის უზრუნველყოფის გზით.
- პროდუქციის გაყიდვაში დახმარების აღმოჩენის მიზნით ფერმერების მხარდაჭერა მათი სხვადასხვა ონლაინ პლატფორმებში ჩართვით.
- სასტუმროებისა და რესტორნების სრული სასურსათო მომსახურებით უზრუნველყოფის მოთხოვნის მკვეთრი შემცირებით დაზარალებული ფერმერებისთვის მიზნობრივი დახმარების აღმოჩენა. მხარდაჭერის ღონისძიებები შესაძლოა მოიცავდეს: (1) ფერმერთა ასოციაციებისა და რეგიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების დახმარებით დაზარალებული ფერმერების გამოვლენას; (2) აღნიშნული ფერმერებისთვის რჩევის მიწოდებას მათი სადისტრიბუციო არხების რეორგანიზების შესახებ; (3) მათთვის პროაქტიული დახმარების გაწევას საკვები პროდუქტების ღირებულების სხვა ქსელებში ჩართვის კუთხით, სადაც საბოლოო მომხმარებლები არ იქნებიან რესტორნები და სასტუმროები (მაგ., დაზარალებული ფერმერები უახლოეს შემგროვებელ ცენტრთან, ექსპორტიორთან, სურსათის ონლაინ გამყიდველთან დაკავშირებით და ა.შ.).

ISET



ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი არის წამყვანი და დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრი ეკონომიკის დარგში საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის მასშტაბით. ინსტიტუტის საქმიანობის საგანს წარმოადგენს როგორც კვლევითი და საკონსულტაციო საქმიანობა, ისე ტრენინგებისა და დისკუსიების ორგანიზება საჯარო პოლიტიკის ირგვლივ. ISET-ის კვლევით ინსტიტუტსა და თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლას (ISET) შორის არსებული მჭიდრო კავშირი უზრუნველყოფს ორივე ორგანიზაციის ინტელექტუალურ-ფინანსურ მდგრადობას. ინსტიტუტის მიზანია, წვლილი შეიტანოს ეკონომიკის, განათლების სისტემის, დემოკრატიული მმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში საქართველოსა და რეგიონის მასშტაბით.